


№ 8 — 1917
კვირა 19 თებერ.

მეხუთე წელი გამოცემისა | ფასი 15 კ.



† ოქტავ მირბო (1850 —1917)
(იხ. ამავე ნომერში წერილი „ნესტარი საზოგადოებისა“, 14 გვ.)

შინაარსი

1, მეთაური — საკუთარ ძალით . . . . . . 2
2, სოფ. მგალობლიშვილი — ქართული ეკლესია და სამღვდელოება . . . . . . . . „
3, ვ. კირვალიძე — მგზავრის ჩივილი . . 3
4, დ. თურდოსპირელი — ზღაპრის ნაწყვეტი 4
5, სამტრედიელი — გ. ქობაქიძე — ქალი დიდელი, როგორც სამშობლოს მომღერალი 5
6, გ. ქუჩიშვილი — ნ. გოცირიძეს . . . . 8
7, ხასან გოლაძე — ვაჟის წერილი ქალთან. „
8, იაგო ტეტუნაშვილი — ღარიბ ოჯახში . „
9, მიხ. ბოჭორიშვილი — ვნების ბრჭყალებში (მესამე მოქმედება) . . . . . . . . 9
10, ს. გლახაშვილი — სცენის მოყვარე და მისი ტვირთი . . . . . . . . . . . . . 12
11, გუგული — თავი შაქარი . . . . . . . 13
12, იოსებ არიმათიელი — ნესტარი საზოგადოებისა — ოქტავ მირბო . . . . . . 14
13, წვრილი ამბები სურათები, შარჟი, განცხადებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თებერვლის 19

**საკუთარი ძალით**

უხარო კაცს საბაყოზე მიუხაროდაო, ასეა ჩვენი საქმეც: თავის თავის მოუვლელნი, სხვის ჭირსა თუ ლხინში ვუვლით რიკფანდურას...

შინ ათასი საქმე მოუწყობელი გვაქვს, საკუთარი ცხოვრება ათას ხელს მოითხოვს და ჩვენი ქვეყნის შვილნი კი, ვინ იცის, ვისთვის და სად არ ხარჯვენ თავის ძალღონეს!

რის ვაივაგლახით გამოიზრდება ხოლმე ჩვენი ქვეყნის შვილი, მიიღებს უმაღლესი სწავლა-განათლების დიპლომსა და ახლა იმის ძიებაშია—როგორმე სადმე მოხელედ შევიდეს, თავი შერგოს ჯამაგირიანი ადგილი იშოვოს, თუნდა ისეთი, სულიც რომ გაიყიდოს—არ ერიდება!

და ეს ერთ დროს მაღალ მისწრაფებით აღჭურვილი ჭაბუკი, შემდეგ მთელ სიცოცხლეს სწორედ იმის გამკვიდრებას ემსახურება თავის ქვეყნის საზარალოდ, რის დასამხობადაც ჭაბუკობაში ჰბორგავდა...

და ასე გვეღუპება სულხოცით არა ერთი და ორი ძალა ჩვენის ქვეყნისა!..

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დარგი კი—სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო და სხ.—დღესაც პირველყოფილ მდგომარეობაში თუ აღარ არის, არც ისეა წინ წასული და მრავალ თვითშემოქმედ მუშა ხელს ითხოვს...

ჩვენი ტურფა ქვეყნის სარჩო-საბადი უცხოელთ მიაქვთ და თქვენ—სხვადასხვა ცოდნით მოსილნო ჩვენი ქვეყნის შვილნო—რად აუქმებთ თქვენს ძალას, რას შესცქერით სხვას ხელში, რატომ თვითმოქმედების უნარს არ გამოიჩენთ?

ნუ თუ არ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა აღზდგება მხოლოდ თავის შვილთა საკუთარი ძალღონით,—

და თქვენს ძალღონეს სხვას რად ალევთ?!

ნუ თუ არ იცით, რომ საკუთარ ბაღჩაში დარგული ნამყენი ათასად მეტს გასიამოვნებთ და გასარგებლებთ, ვიდრე სხვის ზვარში გაშენებული ხევნარი?!

„დრო ძვირადა ჰღირს, ნუ ჰკარგავთ, დაუხშეთ ჭკუას და გონსა... თორემ ინანებთ ბოლოს ჟამს, რაკი ვერ გახვალთ ფონსა...

# ქართული ეკლესია და სამღვდელოება

(ერთის თვალის გადავლებით)

საქართველო შეუერთდა თუ არა რუსეთს, მისს მმართველებს მაშინვე დაებადათ აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მოსპობისა. ჯერ კიდევ თ. პავლე ციციანოვმა, ტომით ქართველმა, თვალში ამოიღო ჩვენი ეკლესია, მისი კათალიკოსი და ქართულს გალობას „თხის კიკინი“ დაარქვა, იმ გალობას, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მცოდნე მუსიკოსები. თავშივე, რუსეთთან შეერთებიდანვე, ჩაიდგა საძირკველი ჩვენის ეკლესიის და სამღვდელოების გათახსირებისა. პირველად, როგორც მოგეხსენებათ, მანიფესტი შეერთებაზე პეტრეს ქალაქში გამოცხადდა 18 იანვარს, ხოლო ტფილისში 16 თებერვალს 1801 წლ. „მე მსურს,—იწერებოდა იმპერატორი პავლე,—საქართველო იყოს გუბერნია და ესრეთ მაშინვე იგი დაუქვემდებარეთ სენატს, სასულიერო მხრივ სინოდს, მისი პრივილეგიების (უფლებების) ხელშეუხებლად“ (ხაზი ჩვენია). აქ ორი ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი წინადადებანია: დამოკიდებულება სენატთან და სინოდთან და ხელშეუხებლობა მისი პრივილეგიებისა. თუკი დამოკიდებულება გამოცხადდა, ხელშეუხებლობას ვიღა უგდებდა ყურსა. ასეც მოხდა. ეს მანიფესტი პავლეს სიკვდილის გამო ვერ მოვიდა სისრულეში და იმპერატორს ალექსანდრე პირველს ხვდა წილად მისი ასრულება: ენკენისთვის 12 იმავე 1801 წ. გამოვიდა მეორე მანიფესტი ალექსანდრე პირველისა შეერთებაზე. თავად-აზნაურობა და ზოგიერთნი მწყემსმთავარნი ხოტბა-დიდებით შეხვდნენ ამ მინიფესტსა. გამოჩინებულმა მქადაგებელმა-ორატორმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგისა, მწყემსმთავარმა ამბროსი ნეკრესელმა დიდი ხოტბა შეასხა ამ მოვლენას. ამბროსიმ მუსულმანთაგან დაწიოკებულ საქართველოს ხსნა ამ მოვლენაში დაინახა და ვერ განსჭვრიტა მომავალი. შეერთება საქართველოსი რუსეთთან მღვდელმთავრის შეხედულებით, საქართველოს უბე-

დურებათაგან დახსნის ნიშნი იყო. როგორც მზის სითბო ყინვისაგან გათოშილს ადამიანს სიცოცხლეს დაუბრუნებს, როგორც გამოცდილი აქიმი მომაკვდავს გამოჰგლეჯს სიკვდილს პირიდგან, ისე გამოგლიჯა სიკვდილისაგან საქართველო ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულის მოწყალებამაო. ჩვენი მტრები მისის ძალით შემუსვრილ იქნებიან და სამუდამოდ განვთავისუფლდებით მოსლემინთა ულლისაგანაო და სხვ...

უწმინდესმა სინოდმა თანდითანობით გააវრცელა თვისი გავლენა და ძალა საქართველოს ავტოკეფალურს ეკლესიაზე, თუმცა კი ჯერჯერობით ქათალიკოსი ანტონი მაინც მართავდა საქართველოს ეკლესიასა. მაგრამ ქათალიკოზი ანტონ მეორე უმაღლესი ბრძანებისა გამო, ივნისის 30-დან 1811 წლ. გაიწვიეს სინოდში კრებებზედ დასასწრებლად და ამ დღიდან მოსპეს ავტოკეფალობა—ქათალიკოსი ანტონი აღარ დაბრუნებულა საქართველოში.

საქართველოს ექსარხოსობა დააფუძნეს და ექსარხოსად საქართველოისა დასვეს ქართველი მწყემსმთავარი ვარლამი, გვარად ქსნის ერისთავთაგანი, გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხეველი. ექსარხოსობამდე იგი ახტალის მიტროპოლიტად იყო, 1801—1808 ითვლებოდა სინოდის წევრად და იღებდა მონაწილეობას კრებებზე. იგი ერთი თავგამოდებული მომხრე იყო, რომ საქართველოს ეკლესია *) დაექვემდებარებინა რუსეთის სინოდისათვის. 1811 წ. ივლისის 8 ვარლამი მცხეთის მიტროპოლიტად დანიშნეს, 1814 წლიდან იმერეთის ექსარხოსადაც.

და გადააყენეს ტახტიდან 14 მაისს 1817 წ. ვარლამის შემდეგ საქართველოს ეკლესია სრულიად ქვრივდება. როგორც მოგახსენეთ, ექსარხოს ვარლამამდე საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა წაერთვა და მისი ბატონ-პატრონი შეიქმნა უწმინდესი სინოდი და მისგან დანიშნული რუსი ექსარხოსები.

რა შედეგი მოჰყვა ამას?

# მგზავრის ჩივილი

(სიმღერა)

რა დაგიშავე შენ ცაო,
ღრუბლით რათ შეიმოსეო,
დასძლიე, მთვარე—მნათობო,
ბნელი, ნათელით ჰმოსეო.

შენ რაღას დაღონებულხარ,
მშობელო ჩემო მხარეო?
იმედს ნუ ჰკარგავ, იმედით
მეც გული გამიხარეო.

სიმდიდრით შემკობილია
მთლად შენი არე-მარეო,
შენია, შენვე იშრომე
და შენვე მოიხმარეო.

განათლდი ბნელის მნათობო
მთვარევ, სხივ-მომფინარეო!—
ღმერთო მაღირსე განათლდეს
ტანჯული ჩვენი მხარეო...

ვ. კირვალიძე

*) ეპ. კირიონი: Краткій очеркъ Ист. Груз. церкви и Экзархата, გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღაპრის ნაწყვეტი

ვუძღვნი **ფრიდიკოს**

ირანის ლომი შაჰ-აბაზი მიწოლილიყო ტახტრევანზე და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

უცნაური იყო... მისი სახელი დღითი-დღე დიდდებოდა.,. გრგვინავდა.,. საბრძანებელი მისი ჰფართოვდებოდა და სიმხიარულეს კი ჰკარგავდა..

მას აღარ ალოლებდნენ არც ქოს-მუტრიბნი და არც მგოსანნი... არც მხევალნი და არც მუშაითნი...

შავი კაეშანი აბედივით უხრჩოლავდა თავში და უწიოკებდა სულს... უგნიასებდა გულის თქმას...

ბოლოს მოაგონდა, რომ იყო მისს კარს ერთი კარგი მეზღაპრე, რომელიც წარმტაცი, მხიბლავი ზღაპრებითართობდა მას, როდესაც დაუმძიმდებოდა ხოლმე სული და ბრძანა მოეგვარათ იგი.,.

ეხლა მეზღაპრე...

— გამარჯობა, გურჯო!

— დიდება შაჰ-აბაზს!..

— მიამბე რამე, ეგება გულს გადამეყაროს ჯავრი... მშვენიერი ზღაპრები იცი... აკი იმიტომ გაჩუქე სიცოცხლე... გახსოვს, როდესაც გურჯისტანი დავიპყარი, ყველას მუსრი გავავლე... სისხლით გავავლე დედაბუდიანათ და მხოლოთ შენ დაგარჩინე სიტყვა ნატიფი...

გურჯმა დაიწყო...

მოუყვა წარმტაცი ზღაპარი უკვდავ სიყვარულზე... ნეტარებაზე... ზღაპარი იგი ლაპარაკობდა ერთად-ერთ ბედნიერებაზე, რომლისთვისაც ჰღირს სიცოცხლე... და შაჰიც წაჰყვა მას... წაჰყვა ოცნებით ზღაპარს ვარსკვლოვან ბედნიერებისკენ... იგი ძლივს მოსწყდა იმ საცოდავ დედამიწას, რომელზედაც იყო მიწებებული და მასზევე დაჰლევდა სულს ვით სხვა ათასნი, ზღაპარი უცხო რომ არ ჰსმენოდა...

შაჰი მოტკბა...

მისს თვალებში აღარ ილეწებოდა სისასტიკის კალო...

მისს გულში ჰკვდებოდა... ითიბებოდა სიგლისპის ეკალი... იცელებოდა სიმუხთლის ღვარძლი...

იბადებოდა რაღაც ნათელი... მხიარული.. საამო... აროდეს განცდილი...

მისთვის საცნაური ჰხდებოდა ტკბილ-მშვენიერი სიცოცხლე, რომელიც საიდუმლოების ბურუსისაგან ვერ განერკვია...

ზღაპრის შუამდის რომ მივიდა, შესდგა გურჯი და ნაღვლიანათ დაჰხარა თავი...

— მეფე... მეფე... შეეკითხა მთლად გრძნობად გადაქცეული.

— განაგრძე გურჯო, განაგრძე შენს ლხენას...

— შემდეგი აღარ ვიცი, მეფევ!.

— როგორ თუ არ იცი? რას ჰნიშნავს ესა!..

— განაგრძე მეთქი!..— შეჰღრიალა შაჰმა და კბილებს კრაჭუნი დააწყებინა სიანჩხლისაგან...

გურჯი გაქვავებულისავით იდგა...

— მოჰკვეთეთ ამას თავი და მომგვარეთ სხვა ზღაპრის დასამთავრებლათ..

— ვერც სხვა გეტყვის შემდეგს, დიდებულო. დედამიწის ყოველ კუთხიდან რომ შეჰკრიფო მგოსან-მეზღაპრენი, ვერც ერთი შესძლებს მისს განგრძობას...

შაჰი უარესად გაცვიფრდა...

ჰკითხა მიზეზი...

გურჯმა აუხსნა:

— ეს ზღაპარი, უუნაზესი სიყვარულის ყდით დაკაზმული წინაპრებმა გვიანდერძეს... დაგვავალეს გავფრთხილებოდით... მტრისთვის არ ჩაგვეგდო ხელში...

ჩვენც ვინახავდით... ბრძოლითა და პაექრობით თაობიდან თაობას გადავცემდით... მოწიწებით უკითხავდით მოზარდთ და მით ვაფაქიზებდით... ვაჯავრებდით მათს სულს.. უსახავდით ცხოვრებას შევარდისფერებულს... ელვარეთ გასხივებულს...

მაგრამ ერთხელ... შავ და უკუღმა იგი დრო.,. ერთხელ მტერი დაგვეცა... გაგვაჩანაგა... აგვაფორიაქა... იავარ-გვყო... მოჰსპო საუნჯენი ფას დაუდებელნი... მოჰსრა ლალიაგუნდით მოოჭვილი მხატვრობანი... მიაგნო იმ ზღაპარსაც... ზედ დააკლა ალმას ჭაბუკნი მიფხრიწ-მოფხრიწა და ცეცხლს მისცა ნაფლეთები...

გადარჩა მხოლოდ ეს ნაწყვეტი...

შაჰი გაცოფდა... კვარსავით აენთო თვალები..

— ვინ, ვინ იყო ისეთი ურვთო... ისეთი უგასაგისო... ვინ ჩადგა კაცობრიობის ცოდვაში... ვინ მოსპო ასეთი მშვენიერება...

— შაჰო... ნუ გამირისხდებით და ერთს მოგახსენებთ: თქვენ ჰგმობთ და ჰკრულავთ ბარბაროსებს, მაგრამ განა თქვენ მასზე უარესი არ ჩაიდინეთ? განა პატარა საქართველოს ცხოვრება, ჩემი კეკლუცი მამულის მატიანე-კი ლამაზი ზღაპარი არ იყო?..

განა მისს შვილთა მაგალითი არ გვეუბნებოდა გმირობაზე... რაინდობაზე... ხელოვნების აყვავებაზე... მუსიკის აფსალმუნებაზე...

განა მთელი ჩვენი წარსული არ წინასწარმეტყველებდა დიად, სასწაულებრივ შესაძლებლობაზე?

მემრე რა დაჰმართე შენა?...

განა დააცალე, რომ ეს ზღაპარი დასრულებულიყო და კაცობრიობას დაენახა იგი.. მოესმინა... ზიარებულიყო მისის ულამაზესის შემოქმედით?..

განა შენ არ გასწყვიტე შუაზე ის ზღაპარი და...

— კმარა!—შეჰყვირა გულზვავმა, რომელიც მკაცრ სიტყვებისაგან იგლიჯებოდა, როგორც თავ-გაჩეჩქვილი გველი..

შაჰს ყველაფერი ეცნო..

მართალს ამბობდა გურჯი...

არის გრძნობა, არის წუთი, როდესაც თვინიერდება თვით მხეცთა-მხეცი და შაჰიც მოლბა,

ჩავარდა სინანულში...

ბრძანა გაენთავისუფლებინათ საქართველო... აბარგულიყო ჯარი... დაეცალათ ციხე-კოშკები... განეწმინდათ შებღალული ტაძარ-მონასტრები. . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . .

საქართველო განთავისუფლდა, მაგრამ რა?.

ხომ ვერ გამთელდებოდნენ [illegible]ის ჭრილობანი, რომელნიც მისმა მუხთლობამ დაასურათა?...

უკან ხომ ვერ დაუბრუნებდა უწყალოთ დაფრქვეულ სისხლის ცრემლებს... ხომ ვერ გააცოცხლებდა უანგარიშოთ განგმირულ ყრმათა და ვერ წაჰშლიდა ივერიის ცაზე წარწერილს შავს მატიანეს აოხრებისას და ამტუტებისას!..

ქ. ბროდი.
8 იანვ. 1917 წ.

ღ. თუხარელი

# გ. ქორქაძე (ჭალადიდელი) როგორც სამშობლოს მომღერალი



საქართველოს ფირუზი ცა ბევრი სხვადასხვა მნათობითაა მოკაზმული, ბევრი მათში პირველ ხარისხოვანი მოსხივცისკარე, მთელვარე... ზოგი მათში ისეთი რამ არის, რომ პირველ შეხედვით თითქმის ვერც კი ამჩნევთ, ვერ გხიბლავთ და გიტაცებთ, მაგრამ რაკი დაუკვირდებით მასში ბევრ ღირსებას და ძლიერებას აღმოაჩენთ. ასეთი მნათობი მკრთალი სამოსლით არის შემკობილი და მიტომ არ ეჩხირება თვალში კაცს. როგორც მნათობი ასეთი არსება სუსტია... და ასეთს სუსტს არსებას ჩვენს პოეზიაში ჭალადიდელი წარმოადგენს.

ის ნიჭი, რომლის მეოხებით სულს უდგამს და ასხივოსნებს პოეტი თავის ქმნილებას, ერთობ მკრთალი იყო მასში, მაგრამ მნიშვნელობა მისი ლირიკისა ამ გარეგანი სამოსლის გამოკლებითაც აზრიანია, სიმშვენე მის შემოქმედებას იმდენად არ უშლის ხელს, რომ შინაარსიც გაუქროს; ამასთანავე ზოგან ტემპერამენტი და გრძნობაცა სჩანს და ამიტომ მისი შემოქმედება გაუფორმებლადაც საყურადღებოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ქობაქიძე, ჩვენს მწერლობაში ჭალადიდელად ცნობილი, დაიბადა 15 ივლისს 1847 წ. სოფელ ფერსათს იმერეთში. მამა მისი მაქსიმე ტარიელის ძე მეგრელი იყო,—ჭალადიდის მებატონე, დედა—იმერელი, ასული ვინმე ელიზბარ მოსიძისა; პირველდაწყებითი სწავლა ჭალადიდელმა სახლში მიიღო, შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის კურსიც დაასრულა 15 ივნისს 1869 წ. შემდეგ იგი საზღვარ გარედ წასვლას ეპირებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო 1870 წ. 14 აგვისტოს შევიდა პეტროგრადის სამხედრო სასწავლებელში.

1873 წ. ჭალადიდელი გამოვიდა აფიცრად. ამას შემდეგ იწყება მისი ხანა სამხედრო სამსახურისა, რაშიაც მიაღწია პოლკოვნიკის ხარისხამდე.

თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ჭალადიდელმა რუსეთში გაატარა არტილერიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის. 1898 წ. 1 აპრილს ჭალადიდელი გარდაიცვალა ქ. მინსკში. ცხედარი პოეტისა რუსეთიდან სამშობლოში ჩამოასვენეს და მიწას მიაბარეს სოფ. ჭალადიდს 26 მაისს.

ლექსების წერა ჭალადიდელმა გიმნაზიაში დაიწყო. გაღვიძება ამ გრძნობისა, წახალისება და დაფასება ლიტერატურული შრომისა უნდა მიეწეროს მაშინდელს ქუთაისის სალიტერატურო წრეს.

მესამოცე წლები ჩვენს ცხოვრებაში ნაყოფიერ წლებათ ითვლება: აკაკი, ილია, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვა,—აი მთელი პლეადა ახალგაზრდა მუშაკთა, რომლებიც ამ წლებმა მოგვცა და რომელთაც დაუდეს სათავე ჩვენს ახალს მწერლობას.

ჭალადიდელი, როგორც დროს შვილი, დროთი სარგებლობს და ჩვენი განახლებული ლიტერატურის და აზროვნების მოწაფეთა ხდება. როგორც ადამიანი, ჭალადიდელი მთლიანი პიროვნება არ არის, მისი პოეტური მიზანი სრულიად არ ეთანხმება მის ცხოვრებას—სამხედრო სამსახურს, ის ეტრფის, სხვათა შორის, თავისუფლებასაც. ნამდვილად კერძო ცხოვრებაში, თავისუფლების შემზღუდველია, მაგრამ ჩვენი მიზანია მისი პოეზიის დახასიათება და არა მისი ადამიანობისა. მართალია, ის სხივი, რომელსაც მზე იძლევა მისივე ნაყოფია. აგრეთვე პოეზია პოეტი ჭალადიდელისა ნაყოფია მისივე პიროვნებისა, მაგრამ საუბედუროდ ცხოვრებაში ეს ასე არა ხდება: მთლიანი პიროვნებანი ისე, როგორც გენიოსნი, ძვირად იბადებიან.

„მოგონება“, „სიმღერა“, „ქეიფი“ და ორიოდე სხვა მისი წვრილი ლექსებისა ნამდვილად, ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოებია ამ ლექსებში სრულიად გარკვევით სჩანს სახე ბუნებრივი პოეტური ნიჭით აღჭურვილი ადამიანისა: აქ პოეტი სავსებით იმას გამოთქვამს, რაც უგრძვნია და განუცდია. ამიტომაა რომ წაკითხვისთანავე ეს ლექსები გრძნობის ძაფებს იტოკებენ. სულს სწვდებიან და ღრმა შთაბეჭდილებასაც სტოვებენ.

უმთავრეს საგანს ჭალადიდელის საგალობლისას სამშობლო შეადგენს და უმეტესობა მისი საუკეთესო ლექსებისა ამ გრძნობითაა გაჟღენთილი, მაგრამ ასე მშვენივრად, ასე წრფელის გულით არც ერთს ლექსში არ გადმოუცია მგოსანს თავისი გულის ნადები, როგორც „სიმღერა გარდახვეწილისა“-ში.

უცხოეთში მყოფ მგოსანს მუდამ თვალწინ უდგია მისი საყვარელი სამშობლო. ნატრობს ჩიტად გარდაქცევას და მის ნახვას:

„ჩემს სამშობლოს ვიგონებ,
ნახვას ვეღირსებოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
მალ-მალ გავფრინდებოდე“-ო.

გაიძახის მგოსანი.

ეს სიმღერა გულის სიღრმიდგან ამონაკვნესია, ნაღვლით და სევდით შეფერადებული სულის სიმპტომია მკვნესარი და ურვით აღჭურვილი, ეს სიმღერა ჩამაფიქრებულია და შთაბეჭდილებიანი; მისი ყოველი ჭანგი, მისი მელოდია რა გინდ მოხდენილად და გრაციით არ იყოს შექმნილი, მაინც ყოველთვის აჯადოვებს და იმონებს ადამიანის გულსა და გონებას, ეს სიმღერა პოეტის გრძნობა-ემოციათა სარკეა.

პოეტის ოცნება სამშობლოსადმი ძლიერია. სამშობლოს ის ყველაფერსა სწირავს: „ეს ჩემი გული მსხვერპლად მისთვის არ მეშურებაო“; ცოცხლად ხომ მისი არის, მას ეალერსება, მას ევლება თავზე, სიკვდილის შემდეგაც მასვე ჩაეხუტება ან კი შეიძლება სხვაფრივ გამოთქმა

გრძნობისა და მიზნის დასახვა იმ სანეტარო, იმ სათაყვანო საგნის შესახებ, რომელიც ისე უყვარს მგოსანს: „თუ სხვაგან მიდის, გული ძგერს და არ დგება; მგოსანს მხოლოდ ის აწუხებს საყვარელი დარჩება“.

ეს მისი საყვარელი მისი ლამაზი სამშობლო კარგი გულის არის: „უყვარვარ და მეც მიყვარს, სიყვარულიც ეს არის“, თავმომწონედ, ამაყად სწივის პოეტი. ეს საუკეთესო მისი პატრიოტული ლექსი მისი შემოქმედების თაიგულის ერთი მომხიბლველი ყვავილთაგანია, ნაზი და თვალწარმტაცი.

„მოგონებაში“ იგივე სამშობლოს სიყვარული აქვს გატარებული მგოსანს. კი ნუ გაგიკვირდებათ და ეს ხელმოკლედ დაჯილდოვებული კაცი ამ პატარა ლექსით პოპულიარულ პოეტად ხდება. ძნელად მოიძებნება მისთანა კუთხე, მით უმეტეს იმერეთისა, რომ ეს ლექსი არ იცოდენ. „მოგონებას“ ან როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში „მახსოვს პირველად“-ს დღეს ხალხი მღერის ჩანგურზედ და სხვა დასაკრავებზედ. ასეთი თვისება პოეტისა, რაც უნდა პატარა ნიჭის იყოს, ის მაინც დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდგან მისმა სიმღერამ უქმად არ ჩაიარა, სალონებში არ ჩაიკეტა, დარბაზებში არ ჩაიჭკნა, მიწვდა გაძვალტყავებულ ხალხს და კვამლით მებოლილ-გაჭვარტლულ ქოხებში შეიჭრა.

„იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,—
კარგია შვილო სწავლის შეძენა,—
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზედ უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა:
მერწმუნე, რომა გამოცდილია,—
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!..

პოეტის რწმენით, ერის კეთილდღეობა და ძლიერება ეროვნული კულტურით უნდა ამაღლდეს; ის ერი არ არის ერი, სიცოცხლეშივე მკვდარია დაცემული და გადაგვარებული, რომელსაც ენა, ეს მძლე იარაღი, მისი პსიხიური ძალა დაუკარგავს ან არ ცდილობს მის გაძლიერებას და მტკიცე საფუძველზე გამაგრებას.

პოეტის რწმენით, სა შობლო ენაა „საძირკველი“ და ეს ასეც არის. სამშობლო ენა დედა ბოძია, ნიადაგია სხვა ენების შესათვისებლად. დღეს მეცნიერებას რომ ქონდეს ისეთი იარაღი, რომ ბავშვის ტვინში შეიძლებოდეს ენის მხრივ შთანასახის აღმოჩენა, ყველაზედ უმალ მშობლიურ ენის შთანასახს აღმოაჩენს; და უთუოდ შეუძლებელი იქნება იმავ დროს სხვა უცხო ენის შთანასახის აღმოჩენა. ამ იმპულსს ბავშს მემკვიდრეობა-ეროვნული მიდრეკილება აძლევს, რასაც მეცნიერები მემკვიდრეობითი გადმოცემას ეძახიან.

ჭალადიდელი არ არის ბრმა ფანატიკოსი, უდარდელი მოტრფიალე სამშობლოსი; მასში იგი ბევრ ნაკლსაც პოულობს:

„სახლი მინახავს მორთული,
ჰქონდა „პოლი“ გალაქული,
მაგრამ იმ სახლის მცხოვრები
იყო მტერი და ორგულიო“.

სწერს ის მეორე ადგილას. ამნაირად გმობს და ჰკიცხავს ერთ-ერთ ნაწილის მოწინავე წოდებას, მაღალ საფეხურებზე მდგომთ, გადაგვარებულებს და სიხარულით მიმართავს ფაცხას და შიგ მცხოვრებთ, რომელთაც გული ჯერ კიდევ ადამიანური შერჩენიათ „გული კეთილი და მასპინძლური“. ამიტომაც უყვარს პოეტს „ფაცხა წვრილი წკნელით მოხლართული“, იქ გამოზრდილი ტიტველი, უფერული უმაწვილებიც, რომ „ამ რიგად გამოზრდილი პაწაწინა უსუსური მამულ-დედულის და შრომის წამს დარჩება მოყვარული“.

ამ რიგად ჭალადიდელი დემოკრატიც არის იმდენად, რამდენათაც გამეფებული იყო ეს ჰანგი მაშინდელს ჩვენს მწერლობაში.

ჭალადიდელი აღვიძებს გრძნობას სამშობლოსადმი და დემოკრატიისადმი. ის გვიტაცებს და გვხიბლავს მისის გულწრფელი ლექსებით; მთელი მისი პოეტური ნიჭი მგოსანს აქ აქვს გამოჩენილი, ეს გრძნობა მასში ცრუ არ არის, ხალასი ბუნებრივია და ამაშია მისი მნიშვნელობაც. სამშობლოს სიყვარულის გარდა მისი აღმაფრენა, მისი ოცნება, მისი შემოქმედებითი პოეტური ნიჭი სუსტია და მკრთალი, მაგრამ ამ უმთავრეს ლეიდ-მოტივით მაინც ღირსია დაფასებისა, როგორც იმ დროის მომღერალთაგანი, რომელსაც უგრძვნია სამშობლოსადმი ადამიანური გრძნობები და ამ გრძნობების მიერ მოურთავს თავისი გულწრფელი ქართული ჩანგი.

**სამტრედიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელ. ჩერქეზიშვილი
(შარჟი ლ. გუდიაშვილისა)

— ომი რომ გათავდეს კიდეც, ჩემი იუბილე არ გათავდება!..

## ნიკო გოცირიძეს

სახალხო სცენაზე 20 წ. მოღვაწეობის გამო. ექსპრომტად, წარმოთქმული სახალხო თეატრში 4 თებერვალს.

ჩვენი სცენის შვენებისთვის
ისეთი რა მომელოცნა,
რომ ძვირფასი ყოფილიყო,
როგორც მგოსნის წრფელი კოცნა?
არაფერი! და მეც კოცნით
ვეგებები არტისტ-ძმასა
და მის ზეიმ დღესასწაულს
მეც ვუერთებ ტაშის ხმასა!

[signature]

## ვაჟის წერილი ქალთან

(ლექსი გამოთქმული ქართველ მაჰმადიანის ხასან გოლაძისმიერ, იბეჭდება სრულიად უცვლელად)

ვაი, რა ჩეთინი დარჩა მე და შენის დაშირება,
გული მკერდში აღარ მიძგერს, და სიცოცხლე ჩემი ქრება,
როდესაც ერთად ვიყავით, ხომ არ გვქონდა დარიდება,
ჩემი კურცხალი ზღვას ერთვ ს, ისე ცეცხლი მეკიდება.
შენ რა გიჭირს გენაცვალე, საწყალი ჩემი თავია,
ვიწვი უცეცხლოთ ბატონო, შენსკენ მიჭირავს თვალია,
ერთი წიგნი, გთხოვ, მომწერე, შიგ გამიხვიე თმაია,
ნეტამც იგი ბედი მომცა მე ვიყო შენი ქმარია.
რა იქნება გენაცვალე მოიბრუნო ჩემზე გული,
იმსახური რა შეგვშენის—ჩვენ არ გვინდა მოციქული,
ოღონდ წიგნში ჩამიწერე, თუ დაგჭირდეს თეთრი ფული,
ჩემოვლობა შენ წაიღე, თექ მოიგე ჩემი გული,
გულის წუხილი ამიტყდა, მტანჯავს შენი სიყვარული,
ერთი წიგნი გთხოვ მომწერე, გამინათლე ამით გული,
წიგნი სისხლის ცრემლით ვწერე, შით არს ჩემი გული, სული.

ჰასან გოლაძე



ნიკა ოლრაპიშვილი

ხაშელი გლეხ —ჯარისკაცი. ომის დაწყებისას სამხედრო სამსახური გაათავა. მაგრამ სამსახურშივე და ბრუნეს. ახლა ტყვეთაა გერმანიაში, ამისი სამი ძმაც ომშია.

## ღარიბ ოჯახში

(ხალხურ კილოზე.)

მშიან მცივა, დედილო...
მამა წავიდ ჯარშია,
შინ გაჭივრება გვბატონობს,
ყინვა სიცივე კარშია!...
რა გვეშველბა, დედიკო,
რითი ვირჩინოთ თავიო?

სიკვდილი კარზე მომდგარა,
პირს აღებს როგორც სვავიო..
ბავში ტიროდა, დედაცა,
ერთურთს აძლევდენ ბანსაო,
ხოლო სიკვდილი-სიმშილი
დასტრიალებდა თავსაო!...

იაგო ტეტუნაშვილი.

# ვნების ბრჭყალებში

სურათები ხუთ მოქმედებად **მიხ. ბოჭორიშვილისა**

## მოქმედება მესამე

სცენა წარმოადგენს სოფლის მოედანს, სადაც მაღალ ხეებ ქვეშ დიდრონი ქვებია დაწყობილი ჩამოსაჯდომად. სცენის სიღრმიდან ტაშისა და დაირის ხმა მოისმის. აგრეთვე ისმის სიმღერა „ჰარალი-ჰარალო“. ხის ძირას ქვებზე სხედან მოხუცი გლეხი ბათლომე და საბა.

I

**საბა და ბათლომე.**

**ბათლომე.** მხიარულობს ახალგაზრდობა. ბატონიშვილებიც მათ წრეში უვლიან ფერხულს. წინად აბა როგორ იკადრებდენ გლეხებში გამოსვლას? იცვლება დრო, ჩემო საბა!

**საბა.** ხომ გაგიგონია, აზნაური მჭადს არ სჭამს, მოშივდება ჭირს მომჭამსო. იკადრებენ თუ არა დიდი ბობოლაები ეგენი არიან! ვითომ გვჯობნიან, რითიმე თუ?

**ბათლ.** ნუ იტყვი საბა, მთა და ბარი ღმერთსაც ვერ გაუსწორებია. როგორ არა გვჯობნიან! გასაწვევში აგინი არავის გაჰყავს, სწავლა მაგათია და განათლება.

**საბა.** სწავლა თუ არა ერთი დიდი ღენერალი-კი გვყავს ის ჩვენი გიორგი.

**ბათლ.** მართლა, კაცო, გიორგის ძმისწული მონაზვნად წავიდა მონასტერში?

**საბა.** აბა რა უნდა ექნა მისი ბიძის შემყურეს? ჩაიგდო ხელში ღვთის ანაბარად მიტოვებული ობოლი და მთელი ცხოვრება გაუფლანგა.

**ბათლ.** განა ეგ არის მიზეზი?

**საბა.** მაშ რა? უმზითვოდ ვინ ოხერი შეირთავდა ღვთის გლახას! გაუთხოვებლად დაბერებას-კი მონაზვნად წასვლა არჩია, თორემ ღმერთი მაგათ უშველის ღვთისა და ხატის მაგათ სწამდეთ რამე?

**ბათლ.** ძალიან ჭკვიანი ქალი-კი იყო და.

**საბა.** რაც უნდა ჭკვიანი იყვე ბიძა მისის ხელში, მაინც გამოჩერჩეტდები. შეხედ გამობრუჟულა ღვინით და ბატკანივით კვინტრიშობს ყმაწვილებში. არც-კი რცხვენია ამ ხნის კაცს.

II

**იგინივე და პლატონ!**

**პლატონ.** ოჰ სამარისკენ მიმავალ მგზავრებს გაუმარჯოს.

**საბა.** სამარეშიც წასულხარ და ჯანდაბაშიც.

**ბათლ.** კი არ უნდა გეწყინოს საბა! ყმაწვილი კაცია.

**პლატ.** შენს სიკვდილთან რომ დაქორწინებას ველირსებოდე, ჩემო საბა, სულ ლხინით გაგაცილებდი სამარის კარამდე.

**საბა.** შე არამზადა მე რომ მოვკვდე— შენ რა შეგეძინება?

**პლატ.** ცოტა შეისვენებდა ჩვენი სოფელი. არა, საბა ფრინველებიც-კი ერთგული მცველებია ტყის და შენ რა ჯინი გჭირს ასე რომ აჩანაკებ? ღმერთი აღარ გახსოვდა ისეთი ხეები რომ მომიჭერი?

**საბა.** ისე ღმერთი შენს ახალგაზრდობას დააცლის როგორც მე შენი ხეები არ მომეჭრას.

**პლატ.** აბა ბათლომე არ გაიქცეოდა „დობილაურში“ მუხების მოსაჭრელად.

**საბა.** იმე, ამისთანა გაგონილა? თვისი ხელით მოჭრილი ხეც რომ ნახონ რომ მეორე დღეს—არიქა, საბას მოუჭრიაო! რავა, ჩემს მეტი ვერავინ მოსჭრიდა, თუ რავაა თქვენი საქმე? (ულვაშ ხელზე მოიკიდებს) ეს ულვაში აღარ მსხმია, თუ მაგ ცილის წამებისთვის პასუხი არ გაგებინე. აი ბათლომე მაინც მყავს მოწმედ.

**ბათლ.** ღვთის გულისათვის, ნუ წაიჩხუბებით. სირცხვილი მისი, ვინც სიცრუე იკადრა, თორემ შენ ბევრი არ დაგაკლდება-რა, ჩემო პლატონ!

**პლატ.** მეწყინება მაინც, მამა ჩემმა რომ იმ ხეების მოჭრა გაიგოს, შენი მტერი გადურჩა ისე, ის ავდმყოფობას გადურჩეს.

**ბათლ.** კითხვაც გადამავიწყდა. როგორაა ეხლა მამაშენი, ვერ მომჯობინდა!

**პლატ.** როგორ მომჯობინდება თუ კაცისას არ გაიგონებს? ვეხვეწები, თავს მოუაროს, მაგრამ გაიგონებს! ამას წინად კინაღამ ძალათ მოიკლა თავი. რაღაც საუბედუროთ გვერდების დასაზელი მაზი მოუტანე: [illegible]ესაო და მყრალი სუნი აქვს, რომ დავლიო, უფრო

მომიხდებაო. ამღვარიყო და მაზი დაელია. კინაღამ წაიღო წერილი საიქიოს' არც ვფიქრობდი თუ გადარჩებოდა.

**ბათლ.** საცოდავი რა შეცდომა მოსვლია.

III

იგინივე და **ლიზა**

**ლიზა.** (ხელში დაირა უჭირავს) საბას გაუმარჯოს. მე და შენ ერთად უნდა ვითამაშოთ.

**საბა.** რაღა დროს ჩემი თამაშია შენი ჭირიმე.

**ლიზა.** (სცენიდან გასძახებს) ყმაწვილებო! საბა უნდა ვათამაშოთ, საბა!

IV

**იგინივე და შამშე, სუსანა, გიორგი და სხვები.**

**გიორგი.** საბა! საბა! უსათუოდ უნდა ითამაშო!

**ბათლ.** რაღა დროს საბას თამაშია, თქვენ ისიამოვნეთ; ბატონებო. მე და საბა — ის დროა სულის საცხონებლად ვემზადებოდეთ.

**გიორ.** შენი რა მოგახსენო და თუ ჩვენი საბა ცხონდა, ჩემი ძაღლიც ნაცხონები იქნება.

**შამშე.** აბა, საბა, ერთი მაყურებინე შენი თამაში.

**სუსანა.** აჰ, მოხუცებულობა არ დაგწამონ!

**გიორ.** საბა უარს ვერ იტყვის, ტაში, ყმაწვილებო.

**ბათლ.** გაამხიარულე ერთი ეს ახალგაზრდები თულა გიჟერის მუხლები, ჩემო საბა.

**საბა.** იმე, მეზარება, თორემ მაგათზე უკეთ კიდევ ვითამაშებ.

**ლიზა.** აბა ტაში ყმაწვილებო! (დაირას უკრავს. საბა თამაშობს).

**გიორ.** ყოჩაღ საბა! ყოჩაღ!

**სუს..)**<br>**სამშ.)** ყოჩაღ! ყოჩაღ!

**გიორ.** ეხლა-კი შენი რიგია ბათლომე.

**ბათლ.** ნუ, შენი ჭირიმე, ფეხებს ძლივას მივათრევ მიწაზე. სად შემიძლია?

**შამ.** უსათუოდ უნდა ითამაშოთ.

**სუს.** ტაში.

**ბათლ.** არა, თქვენი ჭირიმე. (შამშე ხელს ჰკიდებს და ძალად სურს ათამაშოს ბათლომე ხელიდან გაუსხლტება და გარბის).

**ყველანი.** ხა! ხა! ხა! გავიქციეთ! გავიქციეთ. (სცენის იქით მოისმის სიმღერა „ჭარალი-ჭარალი“ და ყველა იქით გაეშურება, საბას გარდა).

**საბა.** არ გამასულელეს დარბაისელი მოხუცი!

V

**ბათლომე და საბა**

**ბათლ.** ჰე. რა კარგია სიყმაწვილე? თამაშობენ, მხიარულობენ! რას დაგიდევენ, მოხუცო ბათლომე, თუ რა რაოდენი სევდავარამი აწევს მძიმე ტვირთად შენს მოხუც გულს?

**საბა.** მაგათ რა ენაღვლებათ, ჩემო ბათლომე. ჯერ ცხოვრების სიმწარე არ გამოუცდიათ, თორემ... ჰაი! ჰაი! არა პლატონიც რომ მაგათ აყოლია?

**ბათლ.** აბა რა ქნას, ყმაწვილი კაცია.

**საბა.** (ჩიბუხს ამოიღებს) ერთი ჩამიყარე შენი თუთუნი! შე მამაცხონებულო, დაგიქინია სიყმაწვილე, სიყმაწვილე! კაცს მამა გიკვდებოდეს და შენ არასფრად აგდებდე? არ ვარგა, ჩემო ბათლომე. მშობელი რისი მშობელია თუ ავადმყოფობის დროს არ დაეხმარე? ყვავი ვარდის ბუჩქს შემოჯდა თავი ბულბული იგონაო, ისეა მაგათი საქმე. იმ გამოყეყეჩებულმა დიომ რაღაც სისულელის წერა- კითხვა ისწავლა და თავი დიდათ მოაქვს. ეხლა სიძობასაც კი ეპირება.

**ბათლ.** კაცო, მართალია დიო ჭკუიდან შეიშალაო?

**საბა.** იქნებ არ გჯერა.

**ბათლ.** მეტის მეტი სწავლით თუ მოუვიდა საბრალოს.

VI

იგინივე და **ლიზა.**

**ლიზა.** წამო საბა, ერთი კიდევ ვითამაშოთ.

**საბა.** რა მეთამაშება შენი ჭირიმე. რაღა მე მოხუცს კაცს მაწამებ. ყმაწვილები ცოტა არიან?

**ლიზა.** კი, მაგრამ შამშეს მოსწონს შენი თამაში. მე მინდა ვასიამოვნო ინინი, წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო ხათრს ნუ გაუტეხ, ვიდრე ჩვენთან არიან. მალე წავლენ კიდეც და მერე ვინ იცის კიდევ მოვლენ ჩვენში თუ არა.

**ბათლ.** სად მიბრძანდებიან?

**ლიზა.** რუსეთში! სასწავლებლად.

**ბათლ.** რავა შენი ჭირიმე! სწავლა კიდევ არ დაუთავებიათ!

**ლიზა.** არა, ჩემო ბათლომე.

**საბა.** ცეკვა-თამაშის მეტი თუ არა ეძიესრა, ჩემი ხნისაც რომ გახდენ, სწავლას მაინც ვერ დაასრულებენ,

**ლიზა.** შენი ბიჭი სადღაა საბა?

**საბა.** კანცელარიაშია მწერალთან.

**ლიზა.** მწერალთან რა უნდა?

**საბა.** რა ვიცი, იქნებ შეისწავლოს რამე მეთქი და ჩაუყვანე.

**ლიზა.** სწავლა თუ გინდოდა—სკოლაში ვერ არონინე?

**საბა.** აი ცეცხლმა კი დასწვას ის რაღაც სკოლაა დი მისი მასწავლებლიც.

**ლიზა.** რათა საბა! რა დაუშავებია?

**საბა.** რა გამიკეთა? ორი წელიწადი მომიცდინეს ბავშვი აბდა-უბდის მეტი არა უსწავლიარა. ესაო და ყაყაჩო ყვავილიას, შაქარი ტკბილიას, ნამუსიც კარგი საქონელიაო. მერე კოზლიკას, ინდეიკას რა ვიცი რას არ აქაქანებდენ, განა მე არ ვიცოდი, რომ ყაყაჩო ყვავილია? მე მინდა არზების წერა ესწავლა. ის კი არა და კანცელარიიდან უწყება მოუტანე და ისიც ვერ გადაიკითხა. მეხი-კი დავაყარე იმ სკოლის მომგონს.

**ლიზა.** ხა! ხა! ხა! ბატონო გიორგი! შამშე! აქ მობძანდით, ყური დაუგდეთ საბას მჭერმეტყველობას?

VII

იგინივე; **გიორგი, შამშე, სუსანა, პლატონ და სხვები.**

**გიორ.** რაო, რას ამბობს საბა?

**ლიზა.** ხა! ხა! ხა! ღმერთო ჩემო! ხა. ხა. ხა.

VIII

იგინივქ და **დიოგენი.**

**დიოგენი.** (სცენაზე შმაგივით შემოიჭრება, ხელს სტაცებს გიორგის და ანჟღრევს. საბა ჩაბალახს მოიხდის, სალამს აძლევს)

**გიორ.** დიო! ეოჩალ!

**შამ.** სწორედ რომ არ გელოდით?

**სუს.** რომ იცოდე რა მხიარულ დროს ვატარებდით.

**დიოგ.** (მკაცრად) სად არი ალოლ? მითხარი ჩქარა?

**გიორ.** როგორ თუ სად არ იცი განა?

**სუს.** მონასტრის ყრუ კედლებ შორის ალოლს ველარ მისწვდება თქვენი ხმა.

**დიოგ,** (სასოწარკვეთილებით) მაშ მართალია?

**გიორ.** ალოლმა უარჰყო ამ ქვეყნიური ყოველივე და მონასტრის კედლებს შეაფარა თავი.

**დიოგ,** (მკაცრად) რად დართე ნება? შენ აქ განცხრომას ეძლევი, ის კი იქ იხშობს სიცოცხლის დილას!

**შამ.** ბევრი ვეხვეწეთ, ვემუდარეთ, მაგრამ ამაოდ! ნუ თუ აქამდის არასფერი იცოდი?

**დიოგ.** მე არა მრწამდა, თუ ის ასეთ უვიცობას ჩაიდენდა. მერე რა უნდა გააკეთოს იქ მონასტრის ცივ კედლებში? ხალხნო, რად ააშენეთ მონასტრები, რადგ ან და თუ თქვენმა წინაპრებმა ააგო ისინი, თქვენ რად არ დაანგრიეთ ეს სულისა და ნების საპატიმროები? ხალხნო, რას სდგეხართ აქ? (ხალხში ჩურჩურჩული გაისმის: „მართლა შეშლილა ჭკუიდან!“ მეორე კუთხეში ისევ განახლდება ტაშის ხმა და „ჭარალი ჭარალო“ სიმღერა). ხალხნო! წავიდეთ დავანგრიოთ მონასტრები.

**ლიზა.** დამშვიდდი, ძმაო!

**დიოგ.** მომშორდი!

**შამშ.** სამწუხაროა, რომ ამ გვარად დაასრულა თვისი ამ ქვეყნიური ცხოვრება ალოლმა.

**დიოგ** სამწუხაროა! მერე რა ზომები იხმარეთ, რომ ასეთი შეცდომა აგეცილებინათ თავიდან? (სასოწარკვეთილ ხმით, თითქმის ტირილით) ალოლ! ალოლ!

**ფ ა რ დ ა.**

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სცენის მოყვარე და მისი ტვირთი

„ვისაც არ უხილია იმას არც უგემიათ“,— გამიგონია ჩვენში და ასეც უნდა იყოს; ადამიანი როს მოიდებს ტვირთსა, მაშინ იგრძნობს მის სიმძიმესა; ხოლო რომელიც სუბუქად ზიდავს, მისი სიმძიმე არად მიაჩნია მაყურებელს.

ჩვენებურადაც სცენის მუშაკს, რომელსაც სურვილით, არახელობით, უკისროა მუშაობა, ეწოდება: „სცენის მოყვარე.“ და მართლაც მისთვის, რომ საყვარელი არ იყოს იგი, ვერ აიტანს რაც მას სცენაზედ შეხვდება.

ეხლა გაცილებით უკეთეს პირობაშია სცენის მოყვარე; თუმცა პროვინციაში მომუშავეთაკი იგივე ტვირთი აძევთ, რაც უწინ, მით უმეტეს მას, რომელსაც შესაფერისი შნო და ნიჭი ახლავს და არც არას ზოგავს.

ჯგუფია თუ ამხანაგობა ჩვენში შრომის განაწილება არ იციან; საზოგადოთ, თუ შეატყეს ამხანაგს შრომის უნარი ისე დაანდობენ ყოველივეს მას, ვით უღელში ზანტი ხარი თავის გამწევ მეუღლეს.

აქაოდა გაუძღვება საქმესაო, დიდი და პატარა ყოველ საქმეს დაანდობს ერთსა და ყოველივე იგია: როლების გადამწერი, აფიშების შემდგენელი, ნებართვის ამღები, დეკორაციების დამდგმელი, ტანისამოსის მშოვნელი, გრიმების გამკეთებელი, სცენარიუსი, მაყურებლის პასუხის გამცემი და, ასე გასინჯე, ამხანაგთა შორის უთანხმოებისა გამო, სხვის მაგიერ ბოლოში მომხდელი, ოღონდ დაწყებული საქმე არ ჩაიშალოს.

კარგა ხანია მას შემდეგ, მაგონდება და თვალწინ მიდგას ავჭალის აუდიტორის სახლი:

რაღაც პიესა მიდის; პარტერში ხმაურობაა, უკმაყოფილებაა წარმოდგენის დაუწყებლობისაგამო; სცენაზე ოთახი დადგმულია, ხოლო მოუწყობელია; სცენის ქვეითა სართულიდან—სარდაფიდან კიბეზე ამოდის ვიღაც დატვირთული.

— ნიკო! ჩქარა, ხალხი იღანძღება.—მიმართა შემოსულმა დატვირთულს.

— ვისა,—შეეკითხა თავისებურად ნიკო გოცირიძე, რა ამოვიდა და პატარა ტახტი მხრიდგან ოთახში დასდო,—შენა გლანძღავენ? მაშ, ახია...

— მე რა შუაში ვარ...—სთქვა და გაბრუნდა.

— თუ შენ არ შეგეხება, რაღა გენაღვლება.—მიუგო ნიკომ და მიმართა.—მოდი შენ, აი, ეს ხალიჩა გაშალე; მე სურათებს დავკიდებ...

— მე უნდა მოვემზადო...—სთქვა და გატრიალდა.

— მაშ, მოემზადე რაღა...

— ნიკო! გრიმი გამიკეთე...—მიმართა დაგვიანებულმა.

— ოჰ, შენა ხარ!—მიმართა ნიკომ.—უშენოთ სამინისტროში არა გაკეთდარა, რომ დაიგვიანე?

— ნიკო, ეს როგორი ქამარია?!—წყრომით მიმართა მესამემ.

— რა, პრობი არა აქვს?.. გაეხუმრა თავისებურად ნიკო და სურათის ჩამოკიდვით განაგრძო:—პარტერიდან ვერ შეამჩნევენ...

— შენ ხუმრობ და მე კი ამ ქამარს არ შემოვიკრავ...

— კარგია, ჯო, ნუსტირი, მე ჩემს ქამარს მოგცემ...—დაჰპირდა ნიკო და მიმართა იქავე სხვას.—აბა პირველი ზარი.—და ჩაეშვა სარდაფში, რომ ჯერ სხვები მოეკაზმა და შემდეგ თვით გამოწყობილიყო სათამაშოდ.

აი, ასეთ პირობაში უმუშავნია ნიკო გოცირიძეს ოცის წლის განმავლობაში და, არა თუ თავი არ გაუნებებია თავის საყვარელ საქმისათვის, არამედ ერთგულად ეს მძიმე უღელი ტვირთად უტარებია.

ნიკო გოცირიძე, გარდა იმისა, რომ ნიჭიერია, ვით მუშაკი, თითით საჩვენებელია და, ვით მაგალითი, პროვინციაში თუ აქა სცენის მუშაკისათვის სანუგეშოა.

ნიკო გოცირიძე შვილია ხელოსან—მუშა ხალხისა; ამა ხალხმა წარმოშვა, მან აღზარდა და ნაცვლათ ღვიძლი შვილისაგან ხელოვნებისათვის გაიწვრთვნა; ამისათვის მშობელმა გაიხარა და პატივიცა სცა.

მაგრამ ეს დღესასწაული, ოთხს თებერვალს 1917 წ. სახალხო სახლის თეატრში, არა შინაურული უნდა ყოფილიყო, მარტო სახალხო სახლის აუდიტორიას კი არ უნდა ეხილა და გაეხარა, არამედ ყველას, აქეთური თუ იქითური მონაწილე უნდა გამხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო გოცირიძე ნიჭიერი სცენის მუშაკია და მით იგი ეგელდას საყვარელია.

ამისათვის ეგელდას, აქაურებს თუ პროვინციელებს, მონაწილეობა უნდა მიეღოთ მის ოცი წლის დღესასწაულში, რადგან მისი დღესასწაული კი არ არის, არამედ სახალხო აუდიტორიის გამარჯვებაა, ჩვენი ხელოსან-მშრომელ ხალხის ამაღლებაა. **ს. გლახაშვილი**

# თავი შაქარი

ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა.

ორმა კარგმა მეგობარმა შაქრომ და მიხეილმა თეატრში გაიცნეს ლამაზი ნინა.

მაღალმა, შავთვალა, ისრების მსგავს წარბებით შემკულმა ნინამ გააგიჟა ორივე მეგობარი... შეუყვარდათ ორივეს ნინა!.. მათ შორის ნინას უფრო მოეწონა შაქრო... დაღონდა მიხეილი.

უფრო დაღონდა მაშინ, როდესაც დაინახა, რომ ნინა მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

რა ღონისძიებას არ მიმართა მიხეილმა, რომ ცოტათ მაინც მოეგო ნინას გული! გაიგო, რომ ნინას უფრო ულვაშებ მოპარსული ყმაწვილები მოსწონსო და წამსვე განშორდა თავის ახლად ათქვირებულ საგანგებო შავ ულვაშებს... ნინას ეტლით სეირნობა უყვარდა! დღე არ გავიდოდა, რომ არ ჩამჯდარიყო ეტლში მიხეილი საღამო ხანს და არ მიდგომოდა ნინას სადგომს... მაგრამ ნინა შაქროსთან ფეხით სიარულს მჯობინებდა.

ნინას ხასიათის მიხედვით მან დაანება თამბაქოს წევას თავი!

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო ..

— შაქროჯან — მიმართა ერთ საღამოს მიხეილმა შაქროს, როდესაც იგინი თეატრის შემდეგ ვახშმობდენ რესტორანში.

— რა იყო, ბიჭო?

— შემომხედე... არაფერს მატყობ?

— რა უნდა შეგატყო! ისეთივე სულელური გამომეტყველების სახე გაქვს, როგორც უწინ.

— შაქრო, ვერ მატყობ, რომ წონაში ოცი გირვანქა მოვიკელ?

— ეხლა კი დარწმუნებული ვარ, რომ მარტო გამომეტყველება კი არა გაქვს სულელური, არამედ მთლად თავიან-ფეხებიანად სულელი ხარ! როდის აგწონე სასწორზე, რომ ეგ შენი წონის დაკლება შემეტყო?

— კაცო, ერთი შეხედვით მაინც ვერ მატყობ?

— რა ვიცი! ჩემზე მეტად შენ გაგბერია ლოყები!..

— მე მართალს ვამბობ! ოცი გირვანქა მოვიკელ.

— მიზეზი?

— გითხრა?

— მითხარი — წინდაწინვე ვიცი სისულელე იქნება.

— მე ნინა მიყვარს, შაქროჯან!

— რომელი ნინა?

— აი... შენ რომ დასდევ!

— კარგი საქმეა!

— შენი ჭირიმე, შაქრო, გაანებე თავი მას! დამითმე მე!

შაქრომ თვალები დააჭყიტა.

— როგორ თუ დავანებო?

— ისე... დაანებე!.. შემდეგ მე დავიწყებ მასთან სიარულს და იქნებ თვითონაც შემიყვაროს!

— გადაგრია ჩემმა გამჩენმა!.. ბევრი სისულელე გითქვამს შენს სიცოცხლეში, მხოლოდ უკანასკნელით კი სისულელის რეკორდი დაადგინე... კრინტი აღარ დასძრა მაგის შესახებ!.. გაუსწორდი ლაქიას.

მიხეილმა ხელი ჩაიქნია, თავი ჩაღუნა და მწარედ დაფიქრდა...

რითი დამთავრდა ეს რომანი?

ნინა ერთი თვის შემდეგ მიხეილს ცოლად გაჰყვა!.. საქმე ასე იყო: მიხეილი ერთი კვირის განმავლობაში სადღაც იყო გადაკარგული. ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ-ვერავინ გაიგო. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა, მივიდა ნინას მშობლებთან და მიართვა მათ საჩუქარი.

რა საჩუქარი იყო ასეთი, რომ მით ასეთი სისწრაფით მოიგო მიხეილმა ნინას გული და თეისი მეგობარი შაქრო პირში ჩალა გაოვლებული დასტოვა?

საჩუქარი გახლდათ ერთ-ფუთიანი თავი შაქარი — რუსეთში, ქარხანაში საგანგებოდ შეძენილი და ჩამოტანილი. **ბუბული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნესტარი საზოგადოების

## ოქტავ მირბო (1850—1917)

სწორედ ნესტარი იყო დამუაუებულ-ფარისევულ საზოგადოებისა საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ოქტავ მირბო, რომელიც თებერვლის პირველ რიცხვებში გარდაიცვალა.

ერთხელ ჩვენმა მწერალმა ანტონ ფურცელაძემ თავის თავზე სთქვა, ბედმან იმიტომ გამაჩინა, რომ ჩვენს წყლულებში ხელი ვურიოო!..

ეს სიტყვები უფრო თამამად შეეძლო თავის თავზე ეთქვა ოქტავ მირბოს.

ახალგაზრდობიდანვე მოურიდებლად, პირდაპირ და გაბედვით მიჰყო ხელი თავის დროის გახრწნილ-საზოგადოებრივ წყობილების შეუბრალებელ მხილებას...

როგორც ბასრი ნესტარი გულ-კაკ დოსტოქრის ხელში, ისე ეტაკებოდა ხოლმე ყოველს ბიწერს, ყოველს მანკიერს...

სარჩული და საპირე საზოგადოებრივ, საზემწიფოებრივ თუ საეკლესიო ცხოვრებისა შეატრიალა და მსოფლიოს დაანახვა შვენიერ საპირეს ქვეშ რა ყალბი სარჩულია, გვიჩვენა, რა რიგ გახრწნილია აწინდელი ვითომდა ქრისტიანული, ეგრედწოდებული „კულტურული“ დაწინაურებული საზოგადოება და მისი შემოქმედნი.

ეკლესია, კანონმდებლობა, მთავრობა, მეცნიერება, პრესა, ოჯახი და მათი მსახურ-ხელმძღვანელნი რა რიგ გახრწნილია, ფარისეველი, პირმოთნე, ჭეშმარიტების მაგიერ მხოლოდ მამონის მსახური.

და ყველა მათგანი დაუნდობლად გაამათრახა...

ვითარცა ჭეშმარიტ მხატვარ-ხელოვანს შეჰფერის, ოქტავ მირბო ცხოვრების სიდუხჭირესიყალბეს თვალწინ უშლიდა მკითხველს და საკუთარ სულში ახედებდა: აი, იხილე რა ხარო.., ყალბი ცხოვრების გარდაქმნის საშუალებას-კი არ უჩვენებდა, თითქო ამით ეუბნებოდა: მე ნაკლზე მიგითითე, გზა ხსნისა შენ ეძიეო...

საუცხოოა მისი რომან-მოთხრობანი: „მოსამსახურე ქალის დღიური“, „გოლგოთა“, „წამების ბაღი“, „სებასტიენ როკი“ და სხ.

ქართულად ნათარგმნია მისი პიესა „ჟან და მადლენა“ და კიდევ რამდენიმე მოთხრობა.

თავისი გაბედული სიტყვით—საზოგადოების მხილებით—მირბომ თანამემამულეებში არა ერთხელ გამოიწვია აურ-ზაური: მისი მომხრენი და მოწინააღმდეგენი ხშირად დუელამდესაც მიდიოდენ... მიუხედავად ამისა, მირბოს მაინც ვერავინ აჰხდის დიდების გვირგვინს: იგი თვისი სამწერლო მოღვაწეობით უკვე მოთავსდა კაცობრიობის მოკვეთე ადამიანთა რიცხვში და საფრანგეთის ერიც თავისს ამ საამაყო შვილს უკვდავთა შორის მოათავსებს...

მძიმეა საფრანგეთის მწერლობის დანაკლისი, რაიცა ყველა კულტურულ ერთა დანაკლისადაც უნდა ჩაითვალოს...

**იოსებ არიმათიელი**



**ბაქოს** ქ. შ. წ. კ. გ. საზ. განუ. დრამ. სექციამ ხუთშაბათს, 2 თებერვალს [სომეხთა კაცთმოყვარე საზოგადოების დარბაზში გამართა ცნობილი რეჟისორის ალ. წუწუნავას ბენეფისი.

ბ-ნი წუწუნავა დიდი ხანი არ არის რაც ბაქოში გამოიწვიეს რეჟისორად. მისი რეჟისორობით სულ ხუთიოდე პიესა დაიდგა, რაც საკმაო შეიქმნა, რომ ბაქოს ქართველი საზოგადოება გასცნობოდა მის უტყუარ ნიჭს, შეუდარებელ ტეხნიკას...

საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა პირველად ბაქოს სცენაზე ტ. რამიშვილის „შეშლილები“ და დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. წარმოდგენის დაწყების წინ ბ-მა შ. დადიანმა წაიკითხა მოკლე მოხსენება, რომლითაც გაკვრით შეეხო ზემოხსენებულ პიესების შინაარსს, მათ ავტორთა დახასიათებით...

„შეშლილებში“ ბ-ნი წუწუნავა ასრულებდა სილვას როლს. ყველა მოთამაშენი ჩინებულად იყვნენ მომზადებული და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ კარგის თამაშით: ბ-ნი კოპალი—(დეონიდე), რომელიც მაყურებელს ყრუანტელსა ჰგვრიდა, თვით მობენეფისე, ვ. არაბიძე (ადამი), შალვა ხონელი (ტიგრან) და გ. პავლიაშვილი (ყაფლან). რიგიანი იყო ანსამბლი და საერთო შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით პიესაზე გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ, იმ შემთხვევაში, თუ იგი დაწერილია საგიჟეთის ცხოვრებიდან საერთოდ, მასში არ არის შეშლილთა ყველანაირი ტიპი, უმთავრეს მიზეზად შეშლილობისა მასში გამოყვანილია მხოლოდ გაცრუებული სიყვარული სქესობრივი ნიადაგზე დანარჩენი მიზეზები არა ჩანს თუ ჩანს, ნამეტანი მკრთალად...

„დარისპანის გასაჭირში" ბევრიაცინეს საზოგადოება ვ. არაბიძემ (დარისპანი), ქ-ნმა ე. ანდრონიკაშვილმა (კაროჟნა) და შ. ხონელმა (ოსიკო). თეატრის არბაზი ხალხით სავსე იყო, მობენფისეს მიართვეს საჩუქრები. **გულისაბა**

# წვრილი ამბები

**ვალ. გუნიას** საიუბილეოდ „თეატრი და ცხოვრების" საგანგებო ნომერი გამოვა. ვისაც კი რაიმე მასალის მიწოდება შეუძლიან, უმორჩილესად ვსთხოვთ დროით გამოგვიგზავნოს.

**თბილისის საგაზაფხულო** დასის შედგენა ქართ. დრ, საზ-ის გამგეობამ ი. ზარდალიშვილს მიანდო.

**სახალხო მგოსნის იოსებ დავითაშვილის** გარდაცვალების 30 წ. თავის შესრულების გამო მისს პატივსაცემოდ საღამო გაიმართება. საღამოში მუშა-მწერლები მიიღებენ მონაწილეობას. საღამოს გამართვა განზრახულია როგორც თელავში, სადაც მგოსანია დაკრძალული, ისევე თბილისში.

**ვალ. გუნიას ალმანახი** მზადდება ს. მგალობლიშვილის რედაქტორობით. ალმანახი გამოვა ვ. გუნიას საიუბილეოდ.

**ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობის** მდივანი ა. ჭუმბაძე სამსახურის გამო სხვაგან გადიყვანეს, მის ნაცვლად მიწვეულია გამგეობისავე წევრი სოლ. ახვლედიანი.

**დეპეშა პეტროგრადიდან.** სულით და გულით ვულოცავ ძვირფას ნიკო გოცირიძეს 20 წლის მოღვაწეობის შესრულების დღესასწაულს. ვინატრი სამშობლო ხელოვნებას ბევრი ასეთი მუშაკი გამოსჩენოდეს. **ალ. არ ბიძე.**

**ქართული თეატრის ასაშენებელ** ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ: 1) სამსონ იოსების ძე გიორგობიანისაგან ხუთი თუმანი (50 მ.); 2) კლავდია ლაგაბუნიასაგან 2 მ. 50 კ.

**მსახიობნი** ანნა კავთელი და ივანე ბარველი (რეჟისორად) დ. სამტრედიის თეატრში გაიწვიეს საზაფხულო სეზონისათვის.

**ბათომის დრამ. საზ-ბამ** ს. მდივანის თაოსნობით, გადასწყვიტა საგაზაფხულო სეზონის წარმოება რეჟისორად მიწვეულია ა. წუწუნავა, მსახიობებად: ქუთაისიის დასის მთელი შემადგენლობა, ხოლო თბილისიდან ან. ქიქოძე, მ. ქილარჯიშვილი და გ. იშხნელი. როგორც გადმოგვეცეს, დრ. საზ-ას 30,000 მან. ხარჯაღრიცხვა შეუდგენია ამ საქმის საწარმოებლად.

**ქველმოქმედო მიზნით** ვასო აბდალა, [illegible] [illegible]: 1) ვ. გუნიას სასარგებლოდ 3 მ. 2) ჭანების—3 მ., 3) ქართ. გიმნაზიასთან არსებულ სასადილოსთვის—3 მ., 4) ცეცხლისაგან დაზარალებულ ჩხარელ ებრაელთათვის—3 მ., 5) მათივე სინაგოგისთვის—5 მ., 6) საზღვარგარედ ქართველ ჯარისკაცთათვის—3 მ., სულ—18 მ.

**სოფ. კერვალიშვილმა** ჟურ. „თეატრი და ცხოვრება" თავის ხარჯით გაუწერა პანკისის სკოლას.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ბ-ნო რ-რო! დაპირებისამებრ გიგზავნით სამ (3 მ.) მანეთს ქართულ თეატრის სასარგებლოდ. აგრეთვე მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს ყოველ წლივ გიგზავნოთ ხუთ-ხუმთი მანეთი სანამ ჯარის კაცად ვარ ე. ი. სამხედრო სამსახურში. **პატ. ამ. კვირიკაძე.**

# ქართული ეკლესია პეტროგრადში

(წერილი პეტროგრადიდან)

იანვრის 14 ღირსშესანიშნავი დღე აქაურ ქართველობისათვის დღეს პირველად გაისმა აქ ქართული წირვა-გალობა. ვისლის კუნძულზე, ანდრია პირველწოდებულის სობოროს გვერდით პატარა ეკკლესიაში მღ. მამა ჩიჯავაძემ გადაიხადა ქართული წირვა; რომელსაც აუარებელი ქართველობა დაესწრო. წირვაზე ბრძანდებოდნენ ეპიკოპოსნი ანტონი და კირიონი. ჰგალობდა აქ მყოფ მოსწავლე ახალგაზრდათა გუნდი. მამა ჩიჯავაძემ მოკლედ დახასიათა წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა. განმარტებულ იქნა აგრეთვე ის, რომ ვიდრე აქაური ქართველობა აიშენებს საკუთარს ეკკლესიას წმ. ნინოს სახელობაზედ დღეიდან ამ ეკკლესიაში არსდება ქართული მოევლი და შესრულდება ქართული წირვა-ლოცვა, სადაც ყოველს ქართველს შეუძლიან სამშობლოს ენაზე მოისმინოს ღვთის მსახურება.

**ნიკო ასლამაზაშვილი**

# „თეატრი და ცხოვრების"

**ფონდის გასაძლიერებლად**

1) ბ-ნო რედაქტორო! ქაღალდისა და სხვა მასალის გაძვირების გამო გაახლებთ ცხრა (9) მან., რომელიც მევე გადავდე პატივცემული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ სამი თვის განმავლობაში, თვიურად სამსამი მან. გიორგი მაღრაძე.

2) ამასთანავე გაახლებთ 3 მან. პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" ფონდის გასაძლიერებლად.

პატივისცემით პანკისის სკოლის მასწავლებელი
პელო ალბუთაშვილი.

3) ივლიანე გვაზავასაგან — 1 მან.
4) გ, სა—საგან — — 5 მან.
5) კალ. ფირცხალავასაგან— „ 50

რედაქცია შემომწირველთ დიდ მადლობას უძღვნის.

# V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათ ის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

## თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშ[ე]ა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დაისახელებული და ხალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, ამხატვრები

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით, მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ლ ენკენისთვემდე 2

**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში, „სორაპნის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**



## საზურთალოოს თეატრი კვირას

თებერვლის 19 ელისაბედ ჩერქეზიშვილის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ნ. გოცირიძის მონაწილეობით გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება

### ხ ა ნ უ მ ა

კომ. 3 მოქ. ავ. ცაგარლისა

დასაწყისი საღამოს 8 ს, მორიგი გამგე მელქო ლებანიძე.



## ახალი კლუბი

1 კვირის პროგრ. თებ. 12-26

**კვირა** — რუსული წარმოდგენა. ბილეთ50-30კ.

**ორშაბათი** — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

**სამშაბათი** — საოჯახო საღამო

**ოთხშაბ.** — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ,

**პარასკ.** — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30კ-დე

**შაბ.** — საოჯახო საღამო

**კვირა** — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა.

**შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.



## ხარფუხის საზოგადო კლუბი

**ორშაბათი** — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

**სამშაბათი** — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

**ოთხშაბათი** — ქართული წარმოდგენა,

**ხუთშაბათი** — ოპერეტა რუსულ ენაზე.

**პარასკევი** — საოჯახო საღამო

**შაბათი** — რუსული წარმოდგენა

**კვირა** — სიმებიანი ორკესტრი

**შესასვლელი ფასი:** ქალები და სტუდენტები – 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

**დასაწყისი:** წარმოდგენა — კონცერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.


